გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას პუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სახოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890


## ივერია

გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1890 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვი-ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.


გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ისტორია მართლ-მადიდებელ ეკლესიისა,

შედგენილი

მოსე ჯანაშვილის-მიერ.

ფასი წიგნისა 40 კაპ.

(10—1)



რადგანაც განვიზრახეთ განსვენებულის იოსებ დავითაშვილის ლექსების კრებულის გამოცემა, ამიტომ ვთხოვთ ყველას, ვისაც-კი ძვირფასად მიაჩნია ამ ლექსების შეერთება და საერთოდ გამოქვეყნება, თუ ეპოვება რამ ლექსი განსვენებულისა, ჩვენ გამოგვიგზავნოს. დარწმუნებულნი ვართ, ჩვენს სურვილსა და განზრახვას ყველა სიამოვნებით მიეგებება და ხელს მოგვიმართავს და შეგვეწყობს, რომ ეს განზრახული საქმე სავსებით შევასრულოთ და ჩვენ მიერ გამოცემული კრებული სრული და უნაკლულო იყოს. ფოსტის ხარჯს ჩვენვე ვკისრულობთ, თუ არ დაიზარებენ და, რაც-კი შეიძლება, საჩქაროდ გამოგვიგზავნიან. [illegible] Караванъ-Сарай Оганова. № 48, г. Ратіани.

სიძე განსვენებულისა გარსევან რატიანი.

(5—4)



სასწავლებელი და პანსიონი

სჯ. ბესარ. ჯორჯიკიასი

(ქუთაისში)

ზაფხულშიაც მიიღებს შეგირდებს მოსამზადებლად გიმნაზიებისა, პროგიმნაზიებისა და სხვა სასწავლებლებისათვის.

(10—4)



დაიბეჭდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

თხზულებანი

რ. ერისთავისა, ნაწ. II, ლექსები

გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოებისა“

ფასი 40 კაპ.

(5—5)


## ახალი ამბავი

*** ტფილისის საქალაქო გამგეობაში უკვე დაუწყიათ მზადება საარჩევანო სიებისა შემოდგომისათვის, როცა დანიშნულია არჩევანები ქალაქის ხმოსნებისა.

*** აი პირველად როდის და სულ ერთად რამდენი წიგნი დაუბეჭდია ამ თხუთმეტიოდე წლის განმავლობაში ჩვენს პედაგოგს და სახელმძღვანელოების შემდგენელს ბ-ნს იაკობ გოგებაშვილს. დედა-ენა (პირველად 1876 წ. დაიბეჭდა) სულ დღემდე 92,000 ეგზემპლიარი, ბუნების-კარი (პირველად 1868 წ.) 29,000, კოკორი (პირველად 1875 წ.) 48,000, კონა 3,600, გუნწულა 1,200, ხომლი 1,200, დარიგება მასწავლებელთათვის 1,200, იავნანამ რა ჰქმნა 1,200, დედანი 8,000, „Русское слово“ 10,800 და „Методика къ русскому слову“ 600. სულ 197,400 ეგზ.

*** დაიწყო გაზაფხული და გაიმართა ჩვენს ბალებშიაც ათას გვარი გასართობი. სხვათა შორის ტფილისში, მუშტაიდს ახლო, არსებობს ბალი „შვეიცარია“, სადაც ათამდე ქალი ყოველ საღამოს შემაძრწუნებელს ლექსებს გაჰკივის ფორტოპიანოს ხმაზედ. იმას გარდა, რომ ბალის პატრონი ყოველ ბალში შემსვლელს თითო აბაზს ართმევს, მომღერალი ქალებიც ყოველ წუთს დადიან ხალხში ნოტებით და სძარცვავენ ნასვამს საზოგადოებას. დგას ერთი ყიჟინა და ორონტრიალი, ხშირად ასტყდება ჩხუბი, წევა ერთმანეთზედ და ცემა-ტყეპა. საკვირველია, რომ ჩვენი პოლიცია ამ გარემოებას ყურადღებას არ აქცევს და ასეთის უკანონო დაწესებულების გამართვის ნებას ყველას აძლევს.

*** დაგოდეხი: ჩვენს მიდამოში, ტყე-ღრეში, მთის ღელეებსა და სერებზე ბევრი ძველის-ძველი ნაშთებია, ნაშთები ეკლესიებისა, ციხე-[illegible] რად კაცი შეხვდება ძველს წარწერებს. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ყველა ეს ნაშთი დღითი-დღე იმუსრება, იშლება და ოხრდება. ამ ძვირფას ნაშთებს ჩვენის მამა-პაპებისას, ვინ იცის, განახლება აღარ მოუხდესთ, ჩვენდა სამწუხაროდ. ამიტომაც კარგი იქნება, რომ ვინმე მცოდნე კაცმა დაიაროს აქაურობა და წარწერანი მაინც გადიღოს, რომ იგინიც ნაშთებთან ერთად არ გაფუჭდნენ საუკუნოდ. ამ გვარი შემთხვევა კიდეც იყო: ამ ოთხიოდე წლის წინად ლაგოდეხის მთის სერზედ, ლაგოდეხიდამ სულ $1/2$ ვერსის მანძილზე, ყველა მლოცველს ენახა ეკლესიის კედლის ქვის ქართული წარწერა. მაგრამ ეს ქვა უცბად სადღაც მიიჩქმალა და არავინ იცის, ვინ წაიღო, რად წაიღო, ან სად დასდო. ლაგოდეხისავე ხევის მიწის წყლის ღელეში (მაზიმ-ჩაი) ბატონ ვაჟაფშაველასაც ენახა დიდი წარწერები, მაგრამ უდროობისა გამო ვერ გადმოეწერა.

*** თელავი: გვესტუმრა თელაველებს ბ-ნ ალნიაშვილის დასი და ოთხშაბათს 4 აპრილს, თელავის კლუბის დარბაზში ბ-ნ ა. ბერიძის ლოტბარობით, გამართეს „კონცერტი“ სამს განყოფილებად—პირველ განყოფილებაში სთქვეს:

„გამოთხოვება“ დ. ზ. ბაქრაძის გარდაცვალების გამო სიტყ. აკაკისა.

„ოდელია“ (იმერული სიმღერა) სიტყვა რ. ერისთავისა.

„ნანა“, [illegible] აკაკისა.

„ნეტავი“, გოგო, მედა შენ (კახური).

„შონა“ (იმერული) სიტყ. ი. ბაქრაძისა.

„შეკრათ წითელ-წითელი“ (ქართლური).

მეორე განყოფილებაში

„მუშური მარში“ (კახური)

„თამარის დროშა“ სიტყ. გრ. ორბელიანისა.

## ფელეტონი

### უკანასკნელი სიმღერა

(მოთხრობა ყორუ ონესი)

III*)

ცოლის შერთვის შემდეგ სტენიოს ნიჭი უმეტესად გადიშალა და გაიფურჩქნა. კაცს ეგონებოდა, მარაკჩი ცდილობს თავის ნიჭის ზრდით და სახელის მოხვეჭით დაავიწყებინოს ცოლს ყოველი დარდი და ნაღველი, რაც-კი იმან ქმრის სიყვარულისათვის გამოსცადაო. სტენიომ თავის მეცადინობით მოსპო ჭორები, დიდი სიყვარული, პატივისცემა დაიმსახურა და მრავალი თაყვანისმცემელი შეიძინა. თავისი მაღალი ხელობა იქამდის გააძლიერა, რომ ყველამ მხარი დაუჭირა და მელივანს აშტყუნებდა.

გულზვავი, ფეოდალობით გამსჭვალული მელივან გრეი თავს არ უყადრიდა დაბალის გვარიშვილის კაცს, თუმცა სტენიო გენიოსიც იყო და არცერთს ლორდს არაფრით არ ჩამოუვარდებოდა. იმპერატორმა გრაფობა უბოძა, მაგრამ მარაკჩიმ არაფრად ჩააგდო. თავის ხელობას ყველა წოდებაზე მაღლა აყენებდა.

ათის წლის განმავლობაში მარაკჩის ალტაცებაში მოჰყავდა მთელი ევროპა. ცოლსაც ყველა სიამოვნება აჩვენა, რაც-კი რამ შეიძლებოდა. არა თუ მაღალ საზოგადოებაში, ხელმწიფეთა შორისაც-კი მოდი დიდად მიღებული იყო. ყველგან დაიარებოდა და ხალხს აკვირვებდა თავის მშვენიერებითა, ნაზის სილამაზითა. მოდი გვირგვინი იყო მარაკჩის დიდებისა. უიმისოდ სრული ბედნიერება არ ექნებოდა. სტენიოს ჯილაში ყველაზედ ძვირ ის მარგალიტი ბრწყინავდა, რომელსაც სიყვარული ჰქვიან. ეს ძლევენი ცოლმა მოუტანა.

მდიდარი, ყველასგან პატივცემული არტისტი მაგალითი შეიქნა ქვეყნიურის ბედნიერებისა. მაგრამ ყოველივე წარმავალია და ერთი დრო არავის არ შერჩენია.

წლის თავზე ჯვარის წერის შემდეგ ვაჟი ეყოლათ, რომელიც პირწავარდნილი დედა იყო. ყმაწვილის ალერსში მოდის ყოველივე დაავიწყდა, დარდიცა და ნაღველიცა. მეტი ნეტარება რაღა იქნებოდა? გარეთ ყოველის მხრით ქება, დიდება, გალმერთება და შინ ეს პატარა ღვთიური არსება. სხვა კიდევ რა უნდა ენატრა დედის გულსა? მოდი ჰგრძნობდა ამას და დიდად ალტაცებული იყო.

მარაკჩი აღარ სჯერდებოდა თავის შესანიშნავს იმპროვიზაციებს. ოპერების დაწერა მოინდომა და მალეც შეისრულა სურვილი. ვენის თეატრში ზედიზედ წარმოადგინეს სტენიოს ოპერები. „კინმა“ და „მათე კორბინმა“ ისე ააყაყანა ხალხი, რომ მარაკჩის თაყვანის ცემას საზღვარი აღარა ჰქონდა. „ვენგრიელი შოპენი“, როგორც ხალხი უძახოდა სტენიოსა, პირველი მნათობი ვარსკვლავი შეიქმნა მთელის ევროპისა. მოდიმ იფიქრა, ახლა-კი შემირიგდება მამაო, და წერილი მისწერა. დიდის სიყვარულით და პატივის ცემით იხსენიებდა, ბოდიშს იხდიდა და პატიებასა სთხოვდა. რვა დღის შემდეგ გაუხსნელი წერილი უკანვე მიიღო. მამას არც-კი წაეკითხა. ეს ამბავი ეკლად მოხვდა მოდის გულსა. სწორედ იმ საღამოს, რა საღამოსაც წერილი მიიღო, ყმაწვილიც ავად გაუხდა. ჯავრისაგან აღარ იცოდა, რა ექნა. იმის აზრით, მამის წყრომას და ბავშვის ავადმყოფობას რაღაც საიდუმლო კავშირი უნდა ჰქონოდა ერთმანეთში. საშინელი სევდები შემოაწვა და სულით იტანჯებოდა. გრძნობდა, რომ რაღაც უბედურება უნდა დატრიალებულიყო იმის თავსა, მაგრამ სტენიოს არ უტყდებოდა.

მთელი კვირა მოდი თავ-განწირვით უვლიდა შვილსა: მზად იყო თავის სიცოცხლეც შეეწირა, მაგრამ ამაოდ: ყმაწვილს ფერი დაეკარგა, თვალები ჩაუწყალდა და ხმის ამოუღებლად, ფრინველივით გაფრინდა.

მოდი სასოწარკვეთილებას მიეცა. დაჰკრილ ძუ ლომივით ხმა მაღლა კვნესოდა. ზეცასა სწყევლიდა, ქვეყნიერებას ემუქრებოდა და მამას ქოქით იღებდა, რადგან იმას აბრალებდა თავის უბედურებასა. გავიდა რამდენიმე დღე. მოდი სულ სხვა გახდა: აღარც სტიროდა, აღარც ლოცულობდა. მთელ კვირაობით ხმას არ იღებდა. იჯდა ფიქრებში გართული და ერთს ადგილს შესცქეროდა. გამწარებული სტენიო ყოველ ღონის ძიებასა ხმარობდა, გაერთო, გაემხიარულებინა, მაგრამ გული ვერ მოულბო. ცოლი ყურს არ უგდებდა არც იმის სიტყვებს, არც იმის ალერსს და არც იმის ჰიანურსა. სტენიოს მგრძნობიარე, ნაზი ჰანგები სეტყვასავით ხვდებოდა ქალის გულსა. მის უკვდავ, მაღალ ხელობას ეხლა ძალა აღარა ჰქონდა საყვარლის გულის მოსაბრუნებლად.

მოდი საშინლად გამოიცვალა: გახდა, თვალები ჩაუცვივდა და ხმელი ხველა აუვარდა. სევდით სავსე სტენიომ უკეთეს მკურნალებს მიჰმართა. ურჩიეს, იტალიაში წაიყვანეო. იმათის აზრით რბილ ჰავას კარგად უნდა ემოქმედნა ავადმყოფზე, მით უმეტეს, რომ მგზავრობა და შორს ყოფნა ნაღველს გადაუყრისო.

ექვსი თვევე ერთის ქალაქიდგან მეორეში გადაჰყავდა ცოლი. უნდოდა ისეთი ადგილი ეშოვნა, რომ თბილი ზღვის ჰავა ყოფილიყო, გაფოთქილი ყვავილები, ერთის სიტყვით ყოველივე რაც-კი ავადმყოფს მოუხდებოდა, მაგრამ მოდის უკეთობა არ ეტყობოდა. ის სულით იყო ავადა, და ვერა მკურნალი ვერ შეიძლებდა, მოერჩინა.

საკვირველი ის იყო, რომ, თუმცა თანდათან სხეული უუძლურდებოდა, მაგრამ სულის სიმხნევე-კი ემატებოდა. უწინდებურად გარინდებული აღარ იყო. თითონვე ჰცდილობდა, სტენიო დაემშვიდებინა. კაცს ეგონებოდა, ავადმყოფობას ძალად იგონებსო, რომ მომეტებულის სინაზით ქმარს უფრო შეაყვაროს თავიო. ლაპარაკიც დაიწყო და სტენიოსაც ყურს უგდებდა, რასაც კი ეუბნებოდა ხოლმე. დადგა ზაფხული და სამშობლოში წასვლა მოინდომა. „მე მგონი, ჩემი სამშობლო მომარჩენს და ღონეს დამიბრუნებს. რა სიამოვნებითა ვნახავდი იქაურს ლაჟვარდ ტბებსა და მწვანე ტყეებსა? ოჰ, ირლანდიავ!.. მანდ არის ჩემი საყვარელი და, მაგრამ ვაი რომ მამაჩემიც მანდვეა“! სახე მოეღრუბლა და ნელის ხმით წაიბუტბუტა: „ნება არა მაქვს დავბრუნდე.. მამისაგან აღკრძალული მაქვს. რა კარგი იქნებოდა, ერთი კიდევ ამომესუნთქა სამშობლოს ჰაერი. ახ, სტე-

*) იხ. „ივერია“ № 72.

„ჩარი რამა“ (იმერული)
„აღსდგე გმირთ-გმირო“ სიტყ. სოლომან მსაჯულისა.
„კუჩხა“ (იმერული)
„დღეს მერცხალი შემოფრინდა“ (იმერული) სიტყ. აკაკისა.

მესამე განყოფილებაში

„მამითადი“ (ქართლური) სიტყვ. რ. ერისთავისა.
„ფაცხა“ (იმერული)
„სიმღერა მგისა“ (ქართლური) სიტყ. აკაკისა.
„ჩუხჩუხით“ (შვედური ხმა) სიტყვ. ცახელისა.
„ვინა სთქვა საქართველოზე“ (კახური) სიტყ. ზაჩანასი.
„ფერსა-ზნელს“ (იმერული) სიტყ. ალ. ჭაჭავაძისა.

«კონცერტში» მონაწილეობას იღებდა ხუთმეტ კაცამდე. საზოგადოება ფრიად მრავალი დაესწრო. ადგილების უქონლობის გამო, ბევრს დასწრების მსურველს, უკან აბრუნებდნენ, რადგანაც დარბაზში ფეხზე დასადგომი ადგილიც-კი აღარ იყო.

საზოგადოებას ძლიერ მოეწონა სიმღერები დასისა და აგრეთვე ძველებური საერთო მათი ტანთ-საცმელიც. კონცერტი დაიწყო „გამოთხოვების“ თქმით დ. ზ. ბაქრაძის გარდაცვალების გამო. საზოგადოებამ კონცერტის დასასრულსაც ისურვა და გაამეორებინა დასს—ჩვენის დაუვიწყარის მამულიშვილის და ისტორიკოსის დ. ზ. ბაქრაძის «გამოთხოვება», რომელიც დიდის თავაზითა და პატივის ცემით მოისმინეს. დასასრულ ფრიად ნასიამოვნებმა საზოგადოებამ გამოიხმო ტაშის ცემით და ვაშას ძახილით დაჯილდოვა.

რაც შეეხება ასე უეცრად მოსვლას ბ-ნ აღნიაშვილისას (სულ ორის დღით წინ გავიგეთ აფიშებით), როგორც შეგვეძლო და მოვახერხეთ, ისე დავხვდით: პატარა თელავის საზოგადოებამ მოუგროვა თექვსმეტ-ჩვიდმეტ თუმნამდინ. რომ მაზრაშიაც შეეტყოთ და ალაგიც ყოფილიყო დასატევი, თქმა არ უნდა შემოსავალი გაორკეცდებოდა. ყოველ შემთხვევაში, იმედი გვაქვს, ამ ხნობით არ დაგვემდურება ბ-ნი აღნიაშვილი და კვლავ-კი, როდესაც უფრო ადრე გვეცოდინება ბ ნ აღნიაშვილის ქართულ მომღერალთა დასის მოსვლა, იმედია, უფრო პატივის ცემით და გულ უხვად დავხვდებით. დასასრულ გულწრფელ მადლობასთან ერთად ვისურვებთ, რომ ბ-ნმა აღნიაშვილმა მოახერხოს როგორმე კახეთში იმისთანა კაცის თან წამოყვანა, რომელსაც შეეძლოს ქართული სიმღერები ნირ-შეუცვლელად თავის სისხლ-ხორცით ნოტებზე გადაალებინოს მცოდნესა. მაშინ დარწმუნებული ვართ, არა ერთსა და ორს მარგალიტს შესძენს თავის საქმესა და მადლიერი საზოგადოებაც უფრო ერთი ორად მოუმართავს ხელს.

*** ტფილისში უნდათ შეადგინონ ზოგიერთ ტაძრების ისტორია იმ საბუთებისა და სიგელების შეწევნით, რომელიც ამ ტაძრებში მოიპოვება („ახ. მიმ.“).

*** როგორც ამბობენ, 15 აპრილს მოვა ტფილისში სტატსკი სოვეტნიკი მახტიცკი, რომელიც აქ პოლიციმეისტრად არის დანიშნული („ახ. მიმ.“).

*** 30 წარსულ მარტს ქ. ქუთაისში საზარელი მკვლელობა მოხდა. ბედნიერ დღეების წინად ტფილისის მცხოვრებელ ყაზარ ნაზაროვმა, სამოც- [illegible] და მარჯვე მოხუცმა წაიღო ქუთაისში ხიზილალა, დაიქირავა იქ სადგომი ვილაც «ეგორის» ქარვასლაში და დაიწყო ვაჭრობა. რადგანაც თავის საქონელს ერთობ იაფად ჰყიდდა, სხვა ვაჭრებს ამით ზარალი მისცა და ამიტომ მოხუცებულს დაემუქრნენ: ამ ქალაქიდგან ახლავე გადი, თორემ მერე ცოცხალს აღარ გაგიშვებთო. უშიშარმა მოხუცმა ამ მუქარას ყური არ ათხოვა და აი ზემოაღნიშნულ რიცხვს შეუვარდნენ სადგომში ბოროტ-მოქმედნი და მოჰკლეს იგი მხეცურად. საწყალი თხუთმეტგან დაჰკრათ ხანჯლით და, ასე გასინჯეთ, შიგ პირში ჩაეცათ ხანჯალი. მკვლელობის მოთავე მონათლული ურია გიორგი წულუკიძე უკვე დაპატიმრებულია, მაგრამ ამხანაგებს არ ამხელს („ახ. მიმ.“).

*** ქსანის სადგურიდგან იწერებიან: ღამე 6 აპრილს ძეგვის ხიდზე რკინის გზის ლიანდაგს ახლო ენახეთ ერთი მოკლული კაცი; როგორც გვგონია, გერმანელი გლეხია; საწყალს თავი მთლად დაჩეჩქვილი აქვს. გამოძიება სწარმოებს („ახ. მ მ.“).

*** ტფილისის სამოქალაქო საკრედიტო საზოგადოების საქმის მწარმოებელთ 6 აპრილს ჰქონიათ კრება და გადაუწყვეტიათ, რომ ამ საზოგადოებისაგან დაწინდებული მამულები და სახლები, რომელიც-კი დაზღვეულია ახლად დაარსებულ ტფილისის საურთიერთო ზღვევის საზოგადოებაში, ხელ-ახლა დააზღვიონ სხვა რომელსამე რუსეთის საზოგადოებაში. თუ ეს გარდაწყვეტილება შეასრულეს, ტფილისის მზღვეველ „საზოგადოებას ორი მილიონის დაზღვეული ქონება მაინც ჩამოეცლება და მისი ფეხის გამაგრება ყოვლად შეუძლებელი-და იქნება («ახ. მიმ.»).

*** აპრილის 6, პოლიციის მეშვიდე ნაწილში, კახეთის ქუჩაზე ვერმიშევის სადგუ- [illegible] 500 მან. ღირებული შვიდი კამეჩი. ეს კამეჩები ეკუთვნოდა ჟდანოვლის მცხოვრებელთ, ასატურ გრიგორიანცს და იაგორ არუთინიანცს. დამნაშავენი არიან: თელეთის მცხოვრებელი ალექსი ბადალაშვილი, სოფელ მაღაროს მცხოვრებელი ზალიკო ნავრუზაშვილი და ქუთაისის გუბერნიის სოფ. ჩელოს მცხოვრებელი პორფირ მემშვილდიშვილი. ქურდები შეიპყრეს. იმათთან ერთად შეიპყრეს ხორცით დატვირთული ორი ფურგუნი. ამ ფურგუნშივე იყო შვიდი ტყავიც. საქმე გამომძიებელს გადასცეს.

*** აპრილის შვიდს, ღამის ითის ნახევარ საათზე, ერმოლოვის ქუჩაზე, სასახლის პირდაპირ, გუბნის მეიდნისაკენ მიმავალ კიბესთან იპოვნეს შვიდის დღის დაბადებული ბავშვი. ბავშვი საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

*** ამ თვის 7, პოლიციის პირველს ნაწილში არტილერიის „სლაბოდკაში“, სამსახურიდგან გამოსულის ჟდანოვლის კოლიდინის დაუკეტავის სადგურიდგან მოიპარეს სამოვარი. ქურდნი ტფილისის მცხოვრებელნი: ევდოკიმ შაპოშნიკოვი და გასათხოვარი ქალი ანასტასია კურნიუკოვისა შეიპყრო იმავე პოლიციის მოხელემ ივან შტანკომ.

*** აპრილის 6, მეათე ნაწილის პოლიციის მოხელეთ მიკირტიჩ კიურეგოვის ნავთის საწყობში იპოვნეს ტომარაში ჩაწყობილი 940 თითის გული, რომელიც სხვა-და-სხვა დროს მოეპარათ არტილერიის საწყობიდგან. გამოძიება სწარმოებს.

*** ამ თვის 7, იმავე ნაწილის პოლიციელებმა შეიპყრეს ფონ ვან—ეკი, რომელსაც კიურაქჩაიში სოფიო ჩაიკოვსკისაგან მოეპარა მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი № $1061^{1}/_{46}$ და ფულად ერთი თუმანი: ქურდი ნაქურდალიანურთ შეიპყრეს და პასუხის გებაში მისცეს.

*** ამავე დღეს, ღამით, პოლიციის მეათე ნაწილში, არსენალის აღმართზე ფეხსაცმელის მკერვალმა ოჰანეზ აბდაგოვმა, სიმთვრალეში დანით დასჭრა, მარჯვენა გვერდში, ფეხსაცმელისავე მკერვალი თავისი ამხანაგი არშაკ ინჯიკიანცი. დაჭრილი საავადმყოფოში გაჰგზავნეს. გამოძიება სწარმოებს.

---

## დაბა და სოფელი

(მიწერილი ამბავი)

იორის-ხეობა, 1 აპრილი. ჩვენი ხეობა ერთმა გარემოებამ მეტად აალაპარაკა. რადგან იმ თავით აქ სათემო მიწის მფლობელობაა, ამიტომ საკუთარი მამული არავის არ მოეპოვება, აზნაურნი, სასულიერო წოდების კაცნი, მოხელეებად ნამყოფნი, ნაჯარის-კაცეენი, გლეხნი ჰხნავდნენ და ჰხნავენ, სადაც-კი შეჰხვდებოდათ, მით უფრო, რომ სოფელთა შორისაც-კი არ არის დღეს განაწილებული მიწა-წყალი. ეხლანდელის კანონით ყველა აქაურს მამულებს ერთბაშად «Казенныя земли» ეძახიან. მართალია, აზნაურთ თითო საკომლო მისცეს მაგრამ ესეც ჯერ-ჯერობით მარტო ქაღალდზეა, საქმით-კი ყველაფერი ძველებურად მიმდინარეობს. სასულიერო წოდებას, „ნაჩინოვნიკრებს“ და ნაჯარის-კაცეებს არც უთხოვნიათ-რა და არც არავინ ჰყოლიათ მოდავე. რადგან მათი მამა-პაპა ზედ შეჰლევია ამ მამულს, იმის დაცვისათვის სისხლი უღვრია, ალალადაც უსარგებლნიათ დღემდე. აგენტები სახელმწიფო მხრიდგან ამ საქმეში არ ერეოდნენ. აწინდელმა აგენტმა-კი გამოუცხადა გლეხებს: „თქვენ გარეშე წრის ხალხს მინდორში ნუ გააჰკანებთ და, რაც სოფლად ვენახები, თუ სასახლკარე ადგილები მოექცევათ, იმაზედაც ხარჯი წაართვითო“. ჩვენს ხეობაში ამ გვარი ხალხი ძალიან ბევრია. ამასთან ესენი არიან ყველაზედ ნამეტანი საქონლის პატრონნიც და ნამეტანი მიწის მხვნელნიც. გლეხ-კაცობა, რაკი ლაპარაკი შეესმა აგენტისა, ჰცდილობს შეასრულოს კიდეც იმისი სიტყვა და ამ გარემოებას, შეიძლება, უსიამოვნებაც მოჰყვეს-რამე.

დღეს, როდესაც სამხედრო ბეგარა შემოიღეს და სწავლის სურვილმა ძალიან ფესვი გაიდგა, ყველანი უნდა მოველოდეთ, რომ ასეთი გლეხთა გარეშე წრის ხალხნი ძალიან გამრავლდებიან; დღევანდელ გლეხის შვილი, ხვალ შეიძლება აფიცერი გახდეს, მერე სამსახურს თავი დაანებოს, მოვიდეს მამაპაპურ კერაზედ და აქ ნება აღარ მისცენ ხვნა-თესვისა. ამაზე მეტი უსამართლობა იქმნება?

რასაკვირველია, უმაღლესი მთავრობა სახელმწიფო ქონებისა ამ აზრისა არ იქნება, მით უფრო, რომ კულტურულს ძალას დღეს ამ «გლეხ-

---

ნიო, რა ნაირად მინდა, რომ მოვრჩე და საუკუნოდ აღარ მოგშორდე, მაგრამ მამაჩემი ნებას არ მაძლევს“!

მოდის საშინლად გაუცხოველდა სურვილი სიცოცხლისა; თავ-განწირვით ებრძოდა სიკვდილსა, მაგრამ ტანჯული სული იმორჩილებდა დასუსტებულ სხეულსა.

რაც უნდა გახდეს, მაინცა ენახავ ინგლისსა, იმის ზღვებსა, ტბებსა და მწვანე ტყეებსაო, იძახდა აღელვებული მოდი. ასე ეგონა, იმ საათში მართლა ინგლისში იყო და მისი გლოვა-ტირილი ნელ ნიავს მშობლის წინაშე მიჰქონდა.

აი ეს იყო მიზეზი, რომ მოდი დიეპპში მოვიდა.

IV

სუსტი, ნაზი მოდი ერთ ვეებერთელა ტახტზე იწვა, კაცს ეგონებოდა, პატარა ყმაწვილსა სძინავსო. ქერა თმა ეხლა უმეტესად უბრწყინავდა, მაგრამ სახეს-კი ძლიერ შავი, ნაღვლიანი გამომეტყველობა ჰქონდა. ეს იყო გამომეტყველობა ბედკრულის, ტანჯულის ადამიანისა, რომელიც დღეს, ან ხვალ სიკვდილის მსხვერპლი უნდა გამხდარიყო. ლოყებზე სიწითლე ეტყობოდა. ხელებიც ისე დასუსტებოდა, რომ თითქმის სინათლე გადიოდა.

ღია ფანჯრებიდგან სუფთა ჰაერი და მზის სხივები უხვად შემოდიოდა, მაგრამ ავადმყოფს მაინც საშინლად ახველებდა. დეზი თავთით უჯდა, ბალიშზე თავი დაედო და ჩუმად ქვითქვითებდა.

სტენიოც იქვე იდგა გაშტერებული. დარდით მოკლული სულ ავადმყოფს ჩასცქეროდა. თვალ წინ წამოუდგა ის ახალგაზდა, ცქრიალა მოდი, რომელიც პირველად ნახა, შეადარა ამ ავადმყოფსა და მგზავსებაც ველარ უპოვა. იმის სილამაზე ეხლა დეზის დარჩენოდა.

— „მე გავაუბედურე ეს უმანკო არსება“, იძახდა სტენიო—„მე გავხდი მიზეზი ამის ვაებისა. სუყველაფერზე ხელი აიღო ჩემის გულისთვის, მაგრამ აბა რა მივეცი სამაგიეროდ? მე მხოლოდ სახელი შევძლევენ, მაგრამ ეს ამისთვის საჭირო არ იყო, რადგან უჩემოდაცა ჰქონდა. ნეტავი ბავშვი მაინც ცოცხალი გვყვავდეს! იმის ალერსს შეეძლო, დედისთვის ცრემლი გადაეყარა და სამშობლო დაევიწყებინა. ეხლა ჩვენი ოჯახის სული და გული ის იქნებოდა. მაგრამ ვაი რომ სიყვარული დაგვიწყევლეს! გაგვიფრინდა ანგელოზი და დედაც მალე დაადგება იმის კვალსა.

ცრემლ მორეულმა სტენიომ თავი ჩაჰკიდა. დიდხანს იქნებოდა გაშტერებული, მაგრამ მოდიმ დაუძახა!

— სტენიო, რა შორსა სდგეხარ? აქ მო... მაგრამ შენ მგონი სტირი! რა ამბავია?

— არაფერი, გენაცვა! სიხარულით მომდის, რომ დეზის შენთანა ვხედავ.

— მართალია, სტენიო! სწორედ რომ სასიხარულო ამბავია, მაგრამ შენი მადლობელი-კი ვარ, რომ დეზი აქ არის. მას უკან, რაც ეს მოვიდა, გულს მომეფონა და მომეშვა. რა კარგი იქნებოდა, რომ სულ ჩვენთან დარჩეს! იმედი მაქვს, უთუოდ მოვრჩებოდი. მაგრამ მარტო დეზი-კი არ მინდა, მე მინდა აგრეთვე, რომ...

ქალს გული აუჩუხდა და სიტყვა ველარ დაათავა.

— ახ, რა ბედნიერი ვიქნები, რომ მაპატიოს და შემირიგდეს!

— მოდი! ერთბაშად შესძახეს სტენიომა და დეზიმ.

თვალებმა საშინლად დაუწყო ბრიალი მოდისა, წამოიწია და სთქვა:

— «იმისი სასტიკობა მკლავს! ვერ შემიძლიან, მამის წყრომა ავიტანო!.. გული დამეტანჯა, გამისკდა!.. ოჰ, შემიბრალეთ, მომიყვანეთ, მაჩვენეთ! ისე მოვიდეს, შემომხედოს, თუნდა ხმასაც ნუ გამცემს, თუნდა ოთახშიაც ნუ შემოვა! ქუჩაში გაატარეთ, შემახედეთ, იცოდეთ მაშინათვე მოვრჩები».

მისუსტებულმა, მიმტკნარებულმა მეტი ველარ შესძლო და ისევ ლოგინზე დაეშვა. სტენიოსა და დეზის ხელით ეჭირათ. რამდენისამე წუთის შემდეგ მოდი გონზე მოვიდა, დეზისკენ წაიღო პირი და შესჩურჩულა: „მაპატიე, სულიკო, რომ გაგამწარე... ხომ ჰხედავ, ჩემი ბედი ყველას ამწარებს, ვინც-კი მიყვარს... თორემ მე ბოროტი არა ვარ“, სთქვა ანგელოზის ხმითა.

სტენიო აალელვა ამ სიტყვებმა. მუხლზე დაეცა, თავი მოდის ხელს დაადო და გულ-მოკლულად ჩასტიროდა:

— ჩემო საყვარელო, წამებულო არსებავ, ნუ თუ შენ თავსვე აბრალებ ყველაფერსა! თუ დამნაშავეა ვინმე, უთუოდ მე უნდა ვიყვე. მე შეგიშალე გზა, მე გაგიმწარე სიცოცხლე!

— არა, შენ მხოლოდ ამამაღლე და გამაბრწყინე!

— მერე რა გამოვიდა მაგ ამაღლებისაგან! ოჰ, ღმერთო, რატომ დედამიწა არ გასკდება და თან არ ჩამიტანს! მე რომ სადმე გადავიკარგო, მამაშენი ხომ მაშინადვე შეგირიგდება! ცხადია, რომ მე მეჯიბრება და არა შენა. დარწმუნებულია, რომ შენი ტანჯვა ჩემთვის უარესია და იმიტომ უფროა სასტიკი და შეუბრალებელი. მითხარ, მითხარ, ჩემო ანგელოზო, და თუნდა სიცოცხლეც წაიღე. ყოველ ღონის-ძიებას ვიხმარ, რომ რამდენიმე ბედნიერი წუთი კიდევ მოგცე.

მოდი პატარახანს გაჩუმდა, თითქო პასუხს ამზადებსო. მერე დაბლა ხმით უთხრა:

— ვიდრე მოვკვდებოდე, მინდოდა მამაჩემი მენახა.

მარაკჩი გაფითრდა. ცოლის გულისთვის თავსაც არ დაზოგავდა, მაგრამ ეს სურვილი ძნელი შესასრულებელი იყო. მაინც კიდევ არ შედრკა და გაბედვით უპასუხა!

— კარგი! რაც უნდა მომივიდეს, უთუოდ გაჩვენებ.

— ოხ, სტენიო, რა გულ-კეთილი ხარ და რა ნაირად მიყვარხარ!

სტენიომ თავს ძალა დაატანა და გაიღიმა. შემდეგ დეზის მიუბრუნდა.

— საყვარელო დეზი, დროა შინ წახვიდე. ნურაფერს ნუ დაუმალავ მარკიზ მელივანსა. მოახსენე, პატივი მცეს და მომელაპარაკოს. დაარწმუნე, რომ, თუმცა იმათთვის სამძიმო იქნება, მაგრამ მაინც საჭიროა. იმედი მაქვს, უარს არ მეტყვის.

თქვენს თხოვნას უთუოდ შევასრულებ, უპასუხა დეზიმ.

ერთი კიდევ გადაეხვია თავის დასა, გადაკოცნა და ისე წამოვიდა. სტენიომ კარამდის გამოაცილა.

ს. გძელიშვილი

(შემდეგი იქნება)

თა გარეშე წრიდგან» უნდა მოველოდეთ, ჩვენ ხეობას ეს ცხადად ატყვია. მერე ამ ხეობაში იმდენი მიწებია, რომ აქ ასახლებენ მულალებს, აისორებს, მალაკნებს და შინაურებისთვის როგორ-ღა არ უნდა იყოს მიწა და მამული?! იმათთვის, ვის მამაპაპას სისხლი უღვრია აქ, ამ მიწა-წყლის დასაცველად.

ხარჯის გადახდევინებაც, რასაკვირველია, ჯერ-ჯერობით მოუხერხებელია; საკომლო მისცეს კაცმა და სოფლის თვით-მართებლობაში ხმა არ ჰქონდეს, ესეც ცეცხლია! სულ სხვაა.—აი ახალი შემოღებული „ეკონომიური ერთეული“ (экономическая единица), ან „подходный налогъ“, რომ შეეა ძალაში.

მეორე ალიაქოთი ჩვენში საგარეჯოს სასოფლო მაღაზიის „გატეხამ“ ასტეხა. უზარმაზარი სოფელი ეს ათ წელზე მეტია ჰკრეფავს პურს. ეხლა ორი ათასი კოდი უნდა იყოს და, წარმოიდგინეთ, მაღაზიის გატეხის შემდეგ მაღაზიაში ორასი კოდი არ აღმოჩნდა, ოთხმოცი ახალ გამტეხს დააკისრეს — ეს სამასი კოდი, მაგრამ ათას კოდზე ნამეტანი რაღა იქმნა—ამისი პასუხის მგებელი არსაით არის. აქ მთელი დასტა ყოფილა ქურდ-ბაცაცებისა და ეს უკანასკნელნიც-კი დღეს პირს ხაფანგში მოხვედრილს ახალ თაეიანთს ხელობის კაცზე აღებენ. ასეთი უყურადღებობა სასოფლო საქმის შესახებ საშინელობაა. ეეებერთელა სასოფლო ბეღელი უპატრონო, უკლიტო და მერე ყველა ოხრის ნებაზედ გაღებული, თუ დაკეტილი—განა ეს მოსაწონია?!

—

ნატვრა აუსრულდა ჩვენს ხეობას. მთავრობამ გადასწყვიტა მომავალ იანვრიდგან მისცეს სოფ. საგარეჯოს ექიმი, ორი ფერშალი და ბებია. ამ დღეებში აქ ექიმი ბახუტოვი იყო გასასინჯად იმ შენობისა, რომელიც ხალხმა მთავრობას აუთქვა, ოღონდ საექიმო ადგილი დაეწესებინათ. ეს შენობა ძველის სკოლის სახლია, მეტად მოხერხებულ ადგილას აშენებული და ცოტა შეკეთებას თხოულობს. ახლო-მახლო სოფლები სიამოვნებით შეაკეთებენ.

—

მშვენიერი დარი სდგას ხეობაში—ხალხი გაფაციცებულ მუშაობაშია. ადმინისტრაციამაც ხელთ იგდო ასეთი დრო და ხალხი გზების შესაკეთებლად გამოიყვანა. აკეთებენ ამასთან ახალ გზა-ტკეცილს მშვენიერს ალინჯაზედ და ნასადგომარზედ, ესე იგი იმ ადგილებზედ, სადაც, თუ სამართალი იყო, უნდა გასულიყო აწინდელი სიღნაღის ტრაკტი. თუ ხიდი გვეღირსა იორზედ, ეს ტრაკტიც, იმედია, აქეთ გაივლის და გაჰქსელავს ზედი-ზედ მიწყობილს ხეობის სოფლებს...

—

ეს ასეა, მაგრამ კაცს გული ეთანაღრება, როდესაც ჰხედავს, რომ ხეობის მეთაური სოფელი საგარეჯო უპატრონოდ არის და ჰლამის წყალმა წალეკოს. მოგეხსენებათ, შარშან ადიდებულმა ხევებმა ზედ შუაზე ჩაუარეს ამ სოფელს, იმსხვერპლეს ბლომად მამულები, სახლები, საქონელი.. მას აქეთ ჩხირი არავის გადაუგდია, რომ შემდეგში აეცილებინა სოფელი უფრო დიდ უბედურობას. იგი ხევები ეხლა პირდაპირ არიან მიმართულნი სოფლებზედ და შენი მტერი, თუ მოდიდნენ ამ გაზაფხულზედაც.

—

მშრალის გაზაფხულის დაწყებამ, თუ გარემემო ტყეების განადგურებამ ჰლამის წყლით უხვი სოფელი საგარეჯოც-კი ურწყავ ქვეყნად გადააქციოს. ასე წყლების დაშრობას არავინ მოსწრებია. უბრალო თვალის გადავლებაც-კი სოფლების გარეშემო მყოფ გატიტვლებულ საფიჩხეებისა თუ ტყეებისა საკმაოა, რომ აღარ გეიკვირდეს, თუ წყლები შრება და მხოლოდ უცბად მოვარდება ხოლმე ხევები. წყლების სათავეები ხალხისთვის საფიჩხეებად მიუციათ და ხალხსაც ისე გადუჩეხია, რომ გარბენილ ხელიკს ვერსზე შეასწრობ თვალს. არც არა ვადა გამოშვებით, მხარე-მხარეობით გადაჩეხვა საფიჩხეებისა, თუ ტყეებისა, არც არა გაფრთხილება, არც ერთი და არც მეორე!..

NN

—◆◆—

### წერილი რედაქციის მიმართ

ნება გვიბოძეთ, თქვენის პატივცემულის გაზეთის შემწეობით გულითადი მადლობა ვუძღვნათ უფ. კ. თავართქილაძეს, რომელმაც შემოსწირა ჩვენს ბიბლიოთეკას შემდეგი წიგნები: „თამარიანი, გალექსილი თ. სვიმონ გუგუნავას მიერ, „ძმა ძმის მტერი“ ა. წითლიძის ნათარგმნი რუსულიდგან, და ოთხი ცალი ჟურნალ ივერიისა 1879 წლისა.

ქართველნი სტუდენტები

პეტერბურღი

—◆◆—

## ნ ა რ კ ვ ე ვ ი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ჟურნალ „Русская Старина“-ს აპრილის ნომერში დაბეჭდილია შემდეგი ცნობილის ნიკიტენკოს დღიურისა, რომლიდგანაც რამდენიმე საინტერესო ადგილი უკვე მოყვანილი გვქონდა ჩვენს ნარკვევში. ეხლაც ნიკიტენკო ორს ყურად საღებს ამბავს მოგვითხრობს რუსეთის გამოჩენილ მწერალ გოგოლისა და რუსეთის ცენზორებ შესახებ. გოგოლი ბოლოს და ბოლოს გონებაზედ შეიცვალა. აი ამ დროს ერთხელ იმასთან მივიდა გრაფ ტოლსტოი, რომელიც დიდი მეგობარი იყო გოგოლისა.

— თუ ღმერთი გწამსო, უთხრა გოგოლმა: მომაშორე ეს რვეულები და მიმალე სადმე. ხანდახან ისეთს გუნებაზედ მოვდივარ, რომ მინდა სულ ერთიანად გადავწვა და გადავბუგო, თუმცა-კი მევე მენანება ჩემის ნაწარმოების დაწვა. ვგონებ შიგ ორიოდე რამ უნდა იყოს კარგი.

გრაფ. ტოლსტოიმ თავაზისა გამო არ გამოართვა რვეულები, იცოდა, რომ გოგოლი ხშირად ჰფიქრობს სიკვდილის შესახებაო, და არ უნდოდა იმის შიშისათვის ხელი შეეწყო და მოემართა. სამის დღის შემდეგ გრაფი კვლავ მივიდა გოგოლთან. მწერალი დაღონებულ-დაღმარებული დახვდა.

— ხომ გითხარიო, შესძახა გოგოლმა: მაცდურმა მაინც კვლავ ამიყოლია და ცეცხლში შევაგდე „მიცვალებულთა სულნი“.

გოგოლი ხშირად ამბობდა თურმე, რომ რაღაც მოჩვენება მეცხადება ყოველთვისაო. გარდაცვალებამდე ორის-სამის დღის წინად დარწმუნებული იყო, რომ ჩემის სიკვდილის დღე მოახლოვებულიაო.

**

საშინელს ამბებს მოგვითხრობს ნიკიტენკო მე 50 წლების ცენზორებს შესახებ, ისეთს ამბებს, რომ ყურს ესმის და გონებას არა სჯერა. მაშინდელი ცენზორები სულ უბრალო რასმეზედაც ერთს ალიაქოთს ასტეხდნენ თურმე და რწყილს აქლემს აშობინებდნენ. მაგალითებრ, ნიკიტენკოს სიტყვით,

ცენზორმა ახმატოვმა შეაჩერა ერთის არითმეტიკის წიგნის ბეჭდვა მხოლოდ იმიტომ, რომ რომელიღაც ამოცანის ციფრებს შუა წერტილები იყო დასმული. ცენზორმა გამოაცხადა, რომ ამ წერტილებში რაღაც დაფარული განზრახვა უნდა იფარებოდეს წიგნის შემდგენლისაო.

ცენზორმა ელაგინმა ერთს გეოგრაფიულს წერილში ის ადგილები ამოშალა, სადაც ნათქვამი იყო, რომ ციმბირში მაღლებს ატარებინებენ მარხილებსაო. ცენზორმა ასეთი საქციელი იმითი განმარტა, რომ ეს ამბავი მაღლებისა შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან უნდა იყოს დასაბუთებულიო.

ცენზორმა ტეიკერმა ერთს სამეტეოროლოგიო ნუსხაში, სადაც თითვეთ რიცხვი ძველისა და ახლის სტილის იყო აღნიშნული, ჩვეულებრივის წესით: $\frac{\text{ძვ. სტ.}}{\text{ახ. სტ.}}$ ცენზორმა მოითხოვა, რომ ახ. სტ. ხაზს ზემოდ იყოს მოქცეული, ხოლო ძვ. სტ. ხაზს ქვემოდაო. ამასობაში ნუსხის აღკრძალვას არავინ მოელოდა, ამიტომ დაბეჭდვის შემდეგ წარედგინა ცენზორს, ახლა გამომცემელს ხელ-ახლად უნდა გადაებეჭდა მთელი წიგნი და დიდი ზარალი ეტვირთა. წიგნის პატრონმა მზრუნველს მიჰმართა და იმან რის ვაი-ვაგლახით, ხანგრძლივისა და ღრმა ფიქრს შემდეგ, ნება დართო, რომ იმ სახით გამოსულიყო წიგნი.

მოდი და ნუ იტყვი, რომ ვაი იმ მწერლობისა და ბეჭდვითის სიტყვის ბრალი, რომელსაც ყურის-მგდებლებადა და ჭირისუფლებად ახმატოვისა, ელაგინისა და ტეიკერისთანა ვაჟბატონები ჰყავს მიჩენილი!..

—◆◆—

## წვრილი ამბები

პრუსიის ერთს პატარა ქალაქში ამ ახლო ხანში დიდი ცოდვა და უბედურობა დატრიალდა. ერთმა ამ ქალაქის მცხოვრებმა შეირთო ახალგაზდა და მშვენიერი მუშა ქალი. ქორწილი რომ გათავდა და ახალი დაჯვარვინებულები ცალკე ოთახში შევიდნენ, რაღაცა ხმაურობა გამოისმოდა, თითქო ჩხუბი მოუვიდათო და მერე ამას ოხვრა და საცოდავი კივილიც მოჰყვა. რადგანაც მალე სიჩუმე ჩამოვარდა, ამ ამბავს ყურადღება არავინ მიაქცია. მაგრამ რა უოვა დაადგათ ნათესავებს, როდესაც მეორე დღეს ოთახში შევიდნენ და შემდეგი შემაძრწუნებელი სურათი დაუხვდათ: გასისხლიანებულ ლოგინში იწვა დაგლეჯილი და დაკბენილი ახალ გაზდა ქალი, უკვე მკვდარი და გაშეშებული და იმის გვერდით სისხლით შესვრილი ქმარი, რომელიც პირიდგან ქაფს ჰყრიდა და საშიშრად იგრიხებოდა და იგრუნჩხებოდა. თურმე საწყალი რამდენისამე დღის წინად ცოფიან ძაღლს დაეკბინა და საუბედუროდ ცოფი ქორწილის გათავებისას მორევოდა.

— განცხადებიდან. ერთი ჩინოვნიკი სთხოვს ხაზინადარს:

— ივან თედორიჩ! თუ შეიძლებოდეს, ერთის თვის ჯამაგირი წინ და წინ მიბოძეთ.

ხაზინადარი. უკაცრავად გახლავართ, არ შემიძლიან: შარშან გავბრიყვდი, ბ-ნ ფიგურინს თვის ჯამაგირი ერთბაშად მივეცი, და ის-კი მეორე კვირასვე გადაბრუნდა და მოკვდა.

ჩინოვნიკი. გარწმუნებთ, ივან თედორიჩ, და მენდევით, მე მაგ უსინდისობას არ ჩავიდენ („ნოვ. ობ.“).

— „Волж. Вѣст.“-ი მოგვითხრობს, რომ ყაზანის გუბერნიის სოფ. პავლოდინოს გლეხებმა ერთი საზარელი ამბავი ჩაიდინესო. სამიკიტნოში დაიჭირეს ქურდი, შეუკრეს ზაწრით ხელ-ფეხი და ჩააგდეს გახურებულ რკინის ფეჩშიო. მაგრამ არც აქ მოასვენეს საწყალი და ხან ზურგით დააწვენდნენ, ხან აქეთა და ხან იქით გვერდზედ, ხან დააჯენდნენ და მერე ისევ დააწვენდნენ, და ასე აწვალეს, სანამ მთელი სხეული არ შეეხრაკა მკერდს გარდაო. ამის შემდეგ საცოდავმა დიდის წვალებითა და ჯახირით მხოლოდ შვიდი დღე და ღამე იცოცხლაო.

— ხარკოვის გაზეთები ამბობენ, რომ ხარკოვის გუბერნიაში ურიცხვი თაგვის გუნდნი მიემგზავრებიან სამხრეთიდგან ჩრდილოეთისკენო და სადაც შეხვდებიან, კალიასავით შეესევიან ბეღლებს და ერთს ღამეს ათას კოდამდის პურს გააქრობენ ხოლმეო. ზოგიერთმა მემამულეებმა ამ საშიშარის მტრის მოსაგერებლად ბეღლებს თაგვის-ჭერია ძაღლები მოუყვანესო.

— პეტერბურგში მოსულა ამერიკულ არტილლერიის ლეიტენანტი ზალინსკი, რომელსაც ჰკერით მსროლელი ზარბაზნის კეთება მოუგონია. ეს ზარბაზანი ამას წინად ამერიკაში ეცადათ და მალიან მოსწონებოდათ. ზალინსკი ურჩევს რუსეთის მთავრობას, ჩემის სისტემის ზარბაზანი შეიტანეთ ზღვისა და ხმელეთის არტილლერიაშიო.

—◆◆—

## დეპეშები

7 აპრილი

ტულონი. პრეზიდენტმა კარნომ დიდის ამბით მიიღო იტალიის ესკადრის უფროსი, ადმირალი ლოვერი, რომელმაც პრეზიდენტს ჰუმბერტის საკუთარის ხელით დაწერილი წერილი გადასცა. იმ წერილში ნათქვამია, რომ ადმირალი ლოვერი საგანგებო ელჩად არის გამწესებული რესპუბლიკის პრეზიდენტის მისაგებებლადაო.

ბერლინი. წინამძღვარი რუსის ეკკლესიისა პარიჟში, დეკანოზი კაჩალოვი, გარდაიცვალა ერთს აქაურს სამკურნალოში.

8 აპრილი

პეტერბურგი. მეცნიერებათა აკადემიის მართველობის კომიტეტში ხელის-მოწერა იმართება და ამიერიდგან უმთავრესმა ფიზიკურმა ობსერვატორიამ ყოველ დღიური «სამეტეოროლოგიო ბიულეტენი» უნდა გამოსცეს. ხელის მოსაწერი ფული 1 მაისიდგან 31 დეკემბრამდე 8 მან. ხელის-მომწერს უფლება აქვს დეპეშის საშუალებით მოჰკითხოს ობსერვატორიას, ხვალ როგორი დარი იქნებაო. მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ საპასუხო დეპეშისათვისაც ოცის სიტყვისა გადაიხადოს.

სამუდამო წევრი უმთავრესის სამხედრო სასამართლოსი, გენერალი ლეიხტი, დანიშნულია ამავ სასამართლოს თავმჯდომარედ. სამუდამო წევრად-კი დაინიშნა კიევის სამხედრო ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე გენერალი ბრანდტი.

«Нов. Время» იუწყება, რომ მემკვიდრე პრინცი იტალიისა, იმიერ კასპიის მხარეს წასვლის შემდეგ ოდესისკენ წავა და იქ ალბად 8 მაისს მივა. იქიდგან მოსკოვზედ გაივლის, მივა პეტერბურგს, სადაც ერთ კვირამდე დარჩებაო.

იგივე გაზეთი ამბობს, დამტკიცებულ იქმნა პროექტი იმისა, რომ რკინის გზებმა უფრო მეტი ტვირთი ჰზიდონ და მეტის საქონლის გადატან-გადმოტანა შეიძლონ.

პეტერბურგის ბირჟა, 6 აპრილი.

| | მყიდველ. ფასი. | გამყიდველ. ფასი. | გაყიდული ფასი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | „ | 7 30 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | „ | $145^1/_2$ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 08 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | $220^3/_4$ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | $216^1/_4$ |
| —მესამისა . . . | — „ | — „ | $217^1/_2$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | 86 87 |
| ქუთაისის ბანკისა . . . | 99 | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | 99 | — „ | — „ |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყჟ (1890) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7398.

ძველი ინდიქტიონი მე-14

ახალი ქორონიკონი—უპბ=482 წელიწადია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქორონიკონი მე-46 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1890 წლის ზედნადებია—17.

აპრილი 30 დღით არის

10 დღე სამშაბათი. ქართვ. წმ. მოწ. ტერენტისა და სხვათა. კათოლ. წმ. მარიამისა, მაკარისა და აპოლონისა. სომეხ. 10 დღე აღდგომისა შემდეგ. დაბადება მ. უ. ვლადიმერ ალექსანდრეს ძისა 1847 წ. მზე ამოდ. 5—9, ჩად. 6—49. ქეშმ. შუად. 11—58. მთ. 3 დ.

11 დღე ოთხშაბათი. ქართვ. წმ. მღვდელ-მოწამისა ანტიპა, პერღ. ეპისკოპოზისა. კათოლ. წმ. ლეანისა და ეზეკილისა. სომეხ. 11 დღე აღდგომის შემდეგ. მზე ამოდ. 5—7, ჩ. 6—50. ქეშმ. შუად. 11—58 მთ. 4 დ.

12 დღე ხუთშაბათი. ქართვ. ღირსისა მამისა ვასილი პარიის ეპისკოპოზისა. კათოლ. წმ. იულიასი, ზენონისა და ვიქტორისა. სომეხ. 12 დღე აღდგომის შემდეგ. მზე ამოდ. 5—6, ჩ. 6—51. ქეშმ. შუად. 11—58. მთ. 5 დ.

13 დღე პარასკევი. ქართვ. წმ. მღვდელ-მოწამისა არტემონისა. კათოლ. წმ. გერმეგილდის და იდასი. სომეხ. 13 დღე აღდგომის შემდეგ. მზე ამოდ. 5—5, ჩ. 6—52. ქეშმ.. შუად. 11—57. მთ. 6 დ.

14 დღე შაბათი. ქართვ. წმიდათა შორის მარტინე, რომთა პაპისა. კათოლ. წმ. ვალერიანისა და მაქსიმესი. სომეხ. 14 დღე აღდგომის შემდეგ. დაბადება მ. უ. ნიკოლოზ მიხეილის ძისა 1859 წ.

მზე ამოდ. 5—3 ჩ. 6—53. ქეშმ. შუად, 11—57. მთ. 7 დ.

15 დღე კვირა. ქართვ. წმ. მოწამეთა არისტარხო, პუდო და ტროფიმესი; წმ. მოწამეთა სუხიასი და მოყვასთა მისთა ქართველთა პირველ საუკუნის ბოლოში. კათოლ. წმ. კრესცენცია და ანასტასიასი. სომეხ. 15 დღე აღდგომის შემდეგ. ხსოვნა იოანე ნათლის-მცემლის თავის კვეთისა. მზე ამოდ. 5—2, ჩ. 6—54. ქეშმ. შუად. 11—57. მთ. 8 დღისა.

16 დღე ორშაბათი. ქართვ. წმ. მოწამეთა აღაპია, ირინა და ქიონისა. კათოლ. წმ. კალიკსტასი და ლამბერტისა. სომეხ. 16 დღე აღდგომის შემდეგ. მზ. ამოდ. 5—1. ჩ. 6—55. ქეშმ. შუად. 11—57. მთ. 9 დღისაა.

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს გადაზე გემები.

# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

## ბორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. შ. ანანიაშვილისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიამ შეიძინა

ჟურნალ **„ნობათი“-ს**

ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება გასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიცხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «ლომკაცი»,—სულ თერთმეტი წიგნი ღირს

**2 მან.**

ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

გამოვიდა და ისყიდება

„უბის წიგნი 1890 წლისათვის“

შედგენილი და გამოცემული

ვალ. გუნიას მიერ

ფასი 40 კაპ.

„წერა-კითხვის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ძმა ძმის მტერი, მოთხრობა წითლიძისა . . . . . | „ | 10 კ. |
| უბის წიგნი, ვალ. გუნიასი 1890 წ. . . . . . . | „ | 40 |
| თვით მასწავლებელი ბიაშვილისა . . . . . | „ | 45 |
| პირუტყვების ამბები, საყმაწვილო წიგნი სურათებით . . . . . . . | „ | 25 |
| წმინდა ნინო. . . . . . | „ | 2 |
| ტაძრად მიყვანება ღვთისმშობლისა . . . . . | „ | 2 |
| ესთერი . . . . . . . | „ | 5 |
| დარიგება სალმრთო სჯულის სწავლებაზედ, დ. ლამბაშიძისა . . . . . | „ | 30 |
| ბექაიანი. . . . . . . | „ | 15 |
| ძეგლის-დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, იურიდიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა . . . . . . | „ | 25 |
| განკიცხული ა. მოჩხუბარიძისა . . . . . . . | „ | 60 |

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

## წიგნის-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნების რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულ, ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| გლახის ნაამბობი, ილ. ჭავჭავაძისა . . . . . . | „ | 25 |
| მეფე ლირი, თარგ. ილ. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლისა ინგლის. . . . | „ | 60 |
| თხზულებანი ნ. ზ. ანტონოვისა: . . . . . | 1 | „ |
| ისტორია საქართველოსი, დ. ბაქრაძისა . . . . . | 1 | „ |
| მოკლე დარიგება ხეხილების გამრავლებაზე სურათებით, „მეურნეს გამოცემა“ | „ | 20 |
| ქართული თეატრი, ვ. გუნია ი . . . . . . | „ | 40 |
| ბედი უბედურთა, მოთხრობა ნ. ლომაურისა. . . | „ | 15 |
| პატარა მოამბე, წიგნი II, ალ. მირიანაშვილისა, იმავ საზოგადოების გამოცემა | „ | 10 |
| კაჟა-ფშაველა, მოთხრობანი, „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემა. . . | „ | 30 |

# კბილი აღარავის წამოსტკივდება

თუ იხმარებენ

ღირსთა მამათა ბენედიქტელთა გამოგონილს ელიქსირს

სულიაკის საბატოში (GIRONDE)

ეს ელიქსირი გამოგონილია 1373 წ. პრიორის პეტრე ბურსოს მიერ და ოქროს მენდლებით დაჯილდოებული

ბრიუსელში 1880 წ. და ლონდონში 1884 წ.



ყოველ დღე ამ ელიქსირის ხმარებით ადამიანს კბილები ვნახვება გაფუჭებისაგან, უთეთრდება, ღრძილები უმაგრდება და პირში საუცხოვო გემო ეძლევა.

ჩვენ მართლაც-და სამსახურს ვუწევთ ჩვენს მკითხველებს, თუ იმის ყურადღებას ამ სასარგებლო წამალზედ მივაქცევთ, კბილის ტკივილის ამ საუკეთესო საშუალებაზედ.

ამ ელიქსირს გარდა, მამა ბენედიქტელნი აკეთებენ აგრეთვე კბილის საწმენდს ფხვნილსა.

ეს წამლები და აგრეთვე ელიქსირი ყველდიდს აფთიაქსა და სააფთიაქო და საპარფიუმეო მერო მაღაზიაში შეუძლიან მსურველმა იყიდოს.

უმთავრესი აგენტი: Arde Seguin, Boux, rue Croix de Seguey, № 106.

(208—6)




სამეურნეო მაშინებისა და იარაღების საწყობი

ჰ. ფ. ეკკერტის სააქციონერო საზოგადოებისა

ბერლინში

და სხვა ქარხნებისა აქვს გამართული

ე. ფ. აუფერმანს ტფილისში,

მიხეილის ქუჩაზედ, № 117.

## ფოლადის გუთნები

ერთ-სახნისიანი ღრმად-მხვნელი და ბევრ სახნისიანი გუთანი.

სალეწი მაშინა (ცხენით და ორთქლით სატრიალებელი).

მარცვლის გამრჩევი და გამწმენდი მაშინები.

ინგლისური სანიავებელი, გორვეულის გამომრჩევი და სხვანი.

სამკალი მაშინა.

სათიბი მაშინა

**ფოცხები**, სათესი მაშინები, საროში და სხვანი.

რაც შარშანდელ გამოფენიდგან მაშინები დარჩა, იმაში მყიდველს მანეთზე ორი შაური დაეთმობა უწინდელ ფასიდგან. (50—14)

# კოკორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ,

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Карванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

# დედა ენა და ბუნების კარი

გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, გამოცემა მეშვიდე. ფასი ექვსი შაური.

ვინც ერთბაშად ნაღდს ფულზე იყიდის ოც-და-ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად.

ყდისათვის ყოველს წიგნზედ დაემატება ორი შაური. ხოლო ვინც ოც-და-ათს ან მეტს, ყდიანს „დედა ენას“ წაიღებს, თითო წიგნის ყდაში გამოერთმევა მხოლოდ რვა კაპეიკი.

„ბუნების კარი“, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეექვსე გამოცემა. ფასი თხუთმეტი შაური.

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალს, წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად, ვინც ოცსა—ცამეტ შაურად და ვინც ოც-და-ათს—სამ აბაზად. ყდისა უნდა დაემატოს თითო წიგნზედ სამი შაური.

ვინც ტფილისს გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Тифлисъ. Въ книжный магазинъ Общества грамотности Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თვით . . . | 10 მ.—კ. | | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. | |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | | 5 „ . . . | 5 „ 25 „ | |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | | 4 „ . . . | 4 „ 70 „ | |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | | 3 „ . . . | 3 „ 50 „ | |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | | 2 „ . . . | 2 „ 50 „ | |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | | 1 „ . . . | 1 „ 75 „ | |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

Доз. ценз. Тифлисъ, 8-го Апрѣля 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე